# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 48260225

თარიღი:22/01/2026

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-ის (ს/ნ 421283104) 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ” წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 09 იანვრის №48.48260094 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ (ს/კ 421283104) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 01 აპრილის №ბ48.482409218 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის №:14-4826020155 წერილის შესაბამისად,

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-ის (ს/ნ 421283104) 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ” წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 09 იანვრის №48.48260094 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის დირექტორს (დ.იობიძე).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალაბანივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი